

ს/ს ბაზისბანკი

ფინანსური ანგარიშგება

2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

მოგება-ზარალის უწყისი

ბალანსი

ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ

ანგარიშგება აქციონერთა კაპიტალში ცვლილების შესახებ

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა
2. შედგენის საფუძველი
3. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის მიმოხილვა
4. წმინდა საპროცენტო შემოსავალი
5. საკომისიო და სხვა შემოსავლები გაწეული მომსახურების მიხედვით
6. საკომისიო და სხვახარჯები მიღებული მომსახურების მიხედვით
7. წმინდა შემოსავალი უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან
8. სხვა შემოსავალი
9. სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი
10. ძირითადი ადმინისტრაციული დანახარჯები
11. მოგების გადასახადი
12. საქართველოს ეროვნული ბანკის გადასახადები
13. განთავსებული თანხები ბანკებსა და სხვა საფინანსო ინსტიტუტებში
14. სესხები
15. ქონება და აღჭურვილობა
16. სხვა აქტივები
17. დეპოზიტები და მიმდინარე ანგარიშები სხვა ბანკებიდან და საფინანსო ორგანიზაციებიდან
18. მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები
19. სხვა ვალდებულებები
20. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები
21. სააქციო კაპიტალი
22. რისკების მართვა
23. კაპიტალის მართვა
24. მოსალოდნელი ხარჯები
25. გაუთვალისწინებელი გარემოებები
26. საოპერაციო ლიზინგი
27. გარიგებები დაკავშირებულ პირებს შორის
28. ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები
29. ფინანსური ინსტრუმენტების მიმდინარე ღირებულება
30. საშუალო ეფექტიანი საფინანსო განაკვეთები
31. დაფარვის ანალიზი
32. ვალუტის ანალიზი



Tbilisi Branch of KPMG CIS Limited
 6 Khetagurov str.
 Tbilisi, 0102
 Georgia

Tel. +995 (32) 935 713
 Fax +995 (32) 982 276
 Internet: www.kpmg.com

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სამეთვალყურეო საბჭოს
 ს/ს ბაზისბანკი

საფინანსო ანგარიშგება

ჩვენ ჩავატარეთ ს/ს ბაზისბანკის (შემდგომში “ბანკი”) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს საბალანსო ანგარიშგებას 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება-ზარალის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის შეჯამებასა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების” შესაბამისად ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარმოდგენაზე. ეს პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც აუცილებელია ფინანსური ანგარიშგების იმგვარად მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის, რომ იგი არ მოიცავდეს უზუსტობებს, გამოწვეულს თაღლითობითა თუ შეცდომით; სათანადო ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის შერჩევასა და გამოყენებას, აგრეთვე არსებულ გარემოებათა შესაფერისი ჯეროვანი ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენ გვევალება ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გავცეთ დასკვნა ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტს წავმართავთ “აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების” შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენ დაეიცვათ ეთიკური ნორმები და იმგვარად დავგვემოთ და ჩავატაროთ აუდიტი, რომ მოვიპოვოთ გონებრივი რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ თანხებსა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებზე აუდიტორული მტკიცებულობების მოპოვების მიზნით. პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორის განსჯაზე, მათ შორის ფინანსურ ანგარიშგების თაღლითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებაზე. რისკის ამგვარი შეფასებისას, აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემას, რომელიც საჭიროა საწარმოს მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიან წარდგენისათვის, რათა შეიმუშავოს გამოებათა შესაბამისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოთქვას მოსაზრება ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე მოიცავს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ ბუღალტრული პოლიტიკის შესაბამისობისა და მნიშვნელოვანი



Tbilisi Branch of KPMG CIS Limited
6 Khetagurov str.
Tbilisi, 0102
Georgia

Tel. +995 (32) 935 713
Fax +995 (32) 982 276
Internet: www.kpmg.com

ბუღალტრული მიზანშეწონილობის შეფასებას, აგრეთვე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

მიგვანია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისს და შესაბამის საფუძველს ქმნის ჩვენი აუდიტორული დასკვნის შესადგენად.

დასკვნა

ჩვენი აზრით, ზემოთაღნიშნული ფინანსური ანგარიშგება ყველა ასპექტში სამართლიანად ასახავს ბანკის ფინანსური მდგომარეობას 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულად ნაკადებს “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების” შესაბამისად.

2008 წლის 13 მაისი

	შენიშვნები	2007 ლარი'000	2006 ლარი'000
საპროცენტო შემოსავალი	4	10,389	6,601
საპროცენტო ხარჯი	4	(3,887)	(2,053)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		6,502	4,548
საკომისიო და სხვა შემოსავლები გაწეული მომსახურების მიხედვით	5	3,110	2,678
საკომისიო და სხვა ხარჯები მიღებული მომსახურების მიხედვით	6	(710)	(675)
წმინდა საკომისიო და სხვა შემოსავლები მომსახურების მიხედვით		2,400	2,003
წმინდა შემოსავალი უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან	7	1,632	1,124
სხვა შემოსავალი	8	689	229
სხვა ხარჯები		(75)	(64)
		2,246	1,289
სესხების დანაკარგის რეზერვი	9	127	(1,254)
ძირითადი ადმინისტრაციული ხარჯი	10	(6,628)	(3,794)
დაუბეგრავი მოგება		4,647	2,792
მოგების გადასახადი	11	(883)	(657)
წმინდა მოგება		3,764	2,135

ფინანსური უწყისები განთავსებული მე-4-ე და 43-ე გვერდებამდე დამტკიცებულია გამგეობის მიერ 2008 წლის 5 მაისს.

ბ-ნი ზურაბ ციხისთავი
გენერალური დირექტორი

ბ-ნი ირაკლი ბოქლოშივილი
დირექტორი

	შენიშვნე ბი	2007 ლარი'000	2006 ლარი'000
აქტივები			
ფული		7,126	7,588
ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში	12	17,260	6,345
დეპოზიტები და მიმდინარე ანგარიშები სხვა ბანკებსა და საფინანსო ორგანიზაციებში	13	5,918	9,190
სესხები	14	62,476	46,871
გასაყიდი აქტივები		-	3
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები		-	50
ქონება და აღჭურვილობა	15	8,986	7,871
არამატერიალური აქტივები		76	100
სხვა აქტივები	16	1,134	378
მთლიანი აქტივები		102,976	78,396
ვალდებულებები და აქციონერთა კაპიტალი			
დეპოზიტები და მიმდინარე ანგარიშები ბანკებიდან და სხვა საფინანსო ინსტიტუტებიდან	17	14,251	3,024
მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები	18	69,635	58,801
ვალდებულებები მიმდინარე მოგების გადასახადზე		281	95
სხვა ვალდებულებები	19	621	637
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	20	680	737
მთლიანი ვალდებულებები		85,468	63,294
აქციონერთა ვალდებულებები			
სააქციო კაპიტალი	21	5,025	5,025
შენობების გადაფასების რეზერვი		2,489	2,347
გაუნაწილებელი მოგება		9,994	7,730
მთლიანი აქციონერთა კაპიტალი		17,508	15,102
მთლიანი ვალდებულებები და აქციონერთა კაპიტალი		102,976	78,396
მოსალოდნელი და გაუთვალისწინებელი გარემოებები	33-34		

თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შენიშვნე ბი	2007 ლარი'000	2006 ლარი'000
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
ფულადი სახსრები მიღებული პროცენტებიდან, მოსაკრებლებიდან და საკომისიოებიდან	13,559	9,195
ფულადი სახსრები გადახდილი პროცენტებზე, მოსაკრებლებზე და საკომისიოებზე	(4,694)	(1,893)
წმინდა ფულადი სახსრები მიღებული უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან	1,667	1,468
სხვა შემოსავალი	719	165
ძირითადი ადმინისტრაციული დანახარჯები	(5,818)	(3,008)
საოპერაციო აქტივების ზრდა (კლება)		
გადასახდელები საქართველოს ეროვნული ბანკიდან	1,085	(2,170)
შენატანები ბანკებში	1,595	(4,704)
სესხები	(14,949)	(21,047)
გასაყიდი აქტივები და დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	53	(50)
სხვა აქტივები	(100)	39
საოპერაციო ვალდებულებების ზრდა (კლება)		
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	10,334	1,994
ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე	8,875	23,185
სხვა ვალდებულებები	(141)	20
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მოგების გადასახადით დაბეგვრამდე	12,185	3,194
გადახდილი მოგების გადასახადი	(612)	(815)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	11,573	2,379
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ქონების, აღჭურვილობის და სხვა უძრავი ქონების წმინდა შესყიდვები	(2,638)	(1,737)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(2,638)	(1,737)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდები	(1,500)	(800)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(1,500)	(800)
ფულისა და ფულადი ნაკადების წმინდა ზრდა/კლება	7,435	(158)
საკურსო ცვლილების გავლენა ფულისა და ფულად ექვივალენტზე	2,184	(204)
ფული და ფულადი ექვივალენტები წლის დასაწყისში	13,438	13,800
ფული და ფულადი ექვივალენტები წლის ბოლოს	23,057	13,438

37

ს/ს ბაზისბანკი
 აქციონერულ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2007 წლის 31 დეკემბრისათვის

	სააქციო კაპიტალი ლარი'000	გადაფასების რეზერვი შენიშვნებისათვის ლარი'000	გაუნაწილებე ლი მოგება ლარი'000	მთლიანი კაპიტალი ლარი'000
ბალანსი 2006 წლის 1 იანვრისთვის	5,025	-	6,395	11,420
წმინდა შემოსავალი პერიოდისთვის	-	-	2,135	2,135
შენიშვნების გადაფასება, წმინდა შეჩერებული გადასახადი 587 ათასი ლარიდან	-	2,347	-	2,347
მთლიანი აღიარებული შემოსავალი და დანახარჯები	-	-	-	4,482
გაცხადებული დივიდენდები	-	-	(800)	(800)
ბალანსი 2006 წლის 31 დეკემბრისათვის	5,025	2,347	7,730	15,102
გადავადებული საგადასახადო რევერსირება მოგების გადასახადის განაკვეთში მანამდე ასახული იყო შენიშვნების გადაფასების რეზერვში	-	142	-	142
წმინდა შემოსავალი პერიოდისთვის	-	-	3,764	3,764
მთლიანი აღიარებული შემოსავალი და დანახარჯები	-	-	-	3,906
გაცხადებული დივიდენდები	-	-	(1,500)	(1,500)
ბალანსი 2007 წლის 31 დეკემბრისათვის	5,025	2,489	9,994	17,508

თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების
 განუყოფელ ნაწილს

1 ძირითადი საქმიანობა

საქმიანობის პრინციპები

ს/ს ბაზისბანკი არის სააქციო საზოგადოების ბანკი, რომელიც დაფუძნდა 1993 წელს საქართველოში. ბანკის საქმიანობის პრინციპებია მომხმარებელთა დეპოზიტებისა და მიმდინარე ანგარიშების მომსახურება, გასესხება და გარანტიების გამოშვება, ნაღდი ფულის და საანგარიშსწორებო ოპერაციები, ოპერაციები ფასიანი ქაღალდებითა და უცხოური ვალუტის კონვერტაცია. ბანკის საქმიანობა რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ (სებ). ბანკს გააჩნია საქართველოს მასშტაბით 16 სერვის ცენტრი.

ბანკის იურიდიული მისამართია ქეთევან წამებულის №1, 0103, თბილისი, საქართველო. ბანკის ძირითადი აქტივები და ვალდებულებები განთავსებულია საქართველოში. ბანკში დასაქმებულია საშუალო რაოდენობა წლის განმავლობაში იყო 200 (2006 წელს - 120) ადამიანი.

აქციონერები

ბანკის სააქციო კაპიტალი 2006 და 2007 წლების 31 დეკემბრებისათვის გახლდათ შემდეგი პირების საკუთრებაში:

აქციონერები	2007 მესაკუთრეთა წილი, %	2006 მესაკუთრეთა წილი, %
ზურაბ ციხისთავი	16.36%	16.36%
ელდარ მილდიანი	11.62%	11.62%
ზურაბ ნიშნიანიძე	10.00%	10.00%
მურმან ამბროლაძე	7.74%	7.74%
არჩილ მაზიაშვილი	7.44%	7.44%
ქეთევან სოსელია	6.60%	6.60%
ტარას ნიჟარაძე	5.38%	5.38%
გია პეტრიაშვილი	5.37%	5.37%
ქეთევან სხირტლაძე	5.22%	5.22%
გოდერძი მელაძე	5.19%	5.19%
თენგიზ მაზიაშვილი	5.15%	5.15%
სხვა ფიზიკური პირები	13.93%	13.93%
	100.00%	100.00%

გარიგებები დაკავშირებულ პირებს შორის აღწერილია 36-ე შენიშვნაში.

ქართული ბიზნეს გარემო

საქართველო განიცდის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებს, რომელიც გავლენას ახდენს იმ საწარმოთა საქმიანობაზე, რომლებიც მოქმედებენ ამ გარემოში. გამომდინარე აქედან, ოპერაციები განხორციელებული საქართველოში დაკავშირებულია რისკებთან, რომლებიც ტიპურად არ ახასიათებს სხვა ბაზრებს. თანამდები ფინანსური ანგარიშები ასახავენ ხელმძღვანელობის შეფასებას ქართული საქმიანი გარემოს ზეგავლენისა ოპერაციებზე და ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისაგან.

2 შედგენის საფუძვლები

შესაბამისობის ანგარიში

თანამდევნი ფინანსური ანგარიშები მომზადებული იქნა საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად (“IFRS”).

ძირითადი განზომილებები

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გასაყიდი აქტივები გაცხადებულია სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შენობები კი – განმეორებით შეფასებული ღირებულებით.

ფუნქციონალური და წარმომადგენლობითი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი (“GEL”). ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით ბანკის ფუნქციონალურ ვალუტად აღიარებულია ლარი, რადგანაც ის ასახავს ძირითადი მოვლენებისა და ბანკის გარემოს ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე არის ფინანსური ანგარიშგების წარმომადგენელი ვალუტა.

ლარში წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია, დამრგვალებულია ათასამდე სიზუსტით.

შეფასებებისა და განსჯის გამოყენება

ხელმძღვანელობამ ჩაატარა რიგი შეფასებები და დაშვებები დაკავშირებული აქტივებისა და ვალდებულებების ანგარიშგებასთან, პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების დადგენასთან, ფინანსური ანგარიშგებების საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად მომზადების მიზნით. ფაქტიური შეფასებები შეიძლება განსხვავდებოდეს აქტიური შეფასებებისაგან.

კერძოდ, ინფორმაცია განუსაზღვრელობის შეფასების მნიშვნელოვან არეალსა და კრიტიკული განსჯის შესახებ, მოთხოვნილი საბუღალტრო პოლიტიკაში აღწერილია შემდეგ ახსნა-განმარტებით შენიშვნაში:

- სესხის გაუარესება - ახსნა-განმარტებითი შენიშვნა 14

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებულ იქნა შემდგომი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. სააღრიცხვო პოლიტიკა იქნა გამოყენებული თანმიმდევრობით, ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში აღწერილია ამ ახსნა-განმარტებითი შენიშვნის ბოლოს.

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადატანილია შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში იმ კურსის შესაბამისად, რომელიც დაფიქსირდა ტრანზაქციების განხორციელების დღეს. საბალანსო უწყისში ასახული ფულად-საკრედიტო აქტივები და ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია ფუნქციონალურ ვალუტაში იმ კურსით, რომელიც დაფიქსირდა ტრანზაქციის განხორციელების დღეს. განსხვავება წარმოშობილი უცხოური ვალუტის კონვერტაციისას ასახულია შემოსავლის უწყისში.

ნაღდი ფული და ნაღდი ფულადი ექვივალენტი

ბანკი ნაღდ ფულში და ნაღდი ფულის ექვივალენტში განიხილავს ნაღდ ფულს და საქართველოს ეროვნულ ბანკსა და სხვა ბანკებში განთავსებულ ნოსტრო ანგარიშებს. საქართველოს ეროვნული ბანკით მოთხოვნილი დეპოზიტის მინიმალური რეზერვი არ არის გათვალისწინებული ნაღდ ფულში, ან ნაღდ ფულად ექვივალენტში მისი ამოღების შეზღუდვიდან გამომდინარე.

ფინანსური ინსტრუმენტები

კლასიფიკაცია

ფინანსური ინსტრუმენტები სამართლიანი ფასით მოგება-ზარალის უწყისის გავლით არის აქტივები ან ვალდებულებები, რომლებიც:

- შექმნილი ან გაწეული უპირატესად გაყიდვის მიზნით ან უკუშესყიდვით უახლოეს მომავალში;
- იდენტიფიცირებული ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელის ნაწილი, რომელიც იმართება ერთობლივად და რომლისთვისაც არსებობს დასტური უხლოეს პერიოდში მოკლევადიანი ფაქტიური მოგების მიღების ფაქტიური მაგალითისა;
- წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები (გარდა შემუშავებული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებისა და ხეჯირების ფინანსური ინსტრუმენტებისა)
- ბანკით განსაზღვრული საწყისი ფინანსური აღიარების შემდგომ, მისაღები ფასით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ბანკი მიუთითებს ფინანსურ აქტივებს ან ვალდებულებებს სამართლიანი ფასით მოგებიდან ან ზარალიდან, თუ:

- აქტივები და ვალდებულებები იმართება და ფასდება სამართლიანი ღირებულების ბაზაზე;
- მითითება აღმოფხრავს ან მნიშვნელოვნად ამცირებს ბუღალტრულ შეუსაბამობას, რომელიც წარმოიშობოდა სხვა შემთხვევაში; ან

- აქტივი ან ვალდებულება მოიცავს ჩადებულ დერივატივებს, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის ფულად ნაკადებს, რომლებიც სხვა შემთხვევაში მოითხოვებოდა კონტრაქტის თანახმად.

ყველა სავაჭრო წარმოებული წმინდა მიღების პოზიციაში (დადებითი სამართლიანი ღირებულება), ისევე როგორც შესყიდული ოპციონები აისახება აქტივებში. ყველა სავაჭრო წარმოებული წმინდა გასავლის პოზიციაში (უარყოფითი სამართლიანი ღირებულება), ისევე როგორც გაყიდული ოპციონები აისახება ვალდებულებებში.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით არ არის რეკლასიფიცირებული შემდგომში თავდაპირველი აღიარებისათვის.

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომელთაც გააჩნიათ ფიქსირებული და განსაზღვრადი დაფარვის გრაფიკი, რომელთა კოტირება არ ხდება ბაზარზე, გარდა მათი, რომლებსაც:

- ბანკი გადაწყვიტავს უახლოეს მომავალში დაუყოვნებლივ გაყიდვას;
- ბანკი თავდაპირველად აღიარებს სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით;
- ბანკი თავდაპირველად აღიარებს, როგორც არსებულ გასაყიდ აქტივს; ან
- ბანკმა შესაძლოა არ აღადგინოს არსებითად მისი მთლიანი ინვესტიცია, გარდა კრედიტის გაუარესების გამო.

ვადამდე ფლობილი ინვესტიციები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომელთაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრადი დაფარვის გრაფიკი და ფიქსირებული ვადა დაკლასიფიცირდებიან როგორც ვადამდე ფლობილი, როდესაც ბანკს შესწევს მათი ვადამდე ფლობის უნარი, გარდა მათი, რომლებიც:

- ბანკი თავდაპირველად აღიარებს სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით;
- ბანკი თავდაპირველად აღიარებს, როგორც არსებულ გასაყიდ აქტივს; ან
- მისცემს სესხის ან დებიტორული დავალიანების კლასიფიკაციას.

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები რომლებიც განკუთვნილია გასაყიდად ან არ კლასიფიცირდება, როგორც სესხები და მოთხოვნები, ვადამდე ფლობილი ინვესტიციები ან ფინანსური ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის უწყისის გავლით.

აღიარება

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები აისახება საბალანსო ანგარიშგებაში, როდესაც ბანკი ხდება ინსტრუმენტის კონტრაქტორული უზრუნველყოფის მხარე. ყველა რეგულარული გზით შესყიდული ფინანსური აქტივი აღირიცხება საანგარიშსწორებო დღისთვის.

განზომილებები

ყველა ფინანსური აქტივი თუ ვალდებულება თავდაპირველად იზომება მისი სამართლიანი ღირებულებით, დამატებული, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი ან ვალდებულება არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგებიდან - ტრანზაქციის ხარჯი, რომელიც უშუალოდ ერთვის ფინანსური აქტივის ან ვალდებულების შეძენას ან გამოშვებას.

პირველადი ასახვის შემდგომ, ფინანსური აქტივები, წარმოებული აქტივების ჩათვლით ფასდება სამართლიანი ღირებულებით, ყოველგვარი ტრანზაქციის ხარჯის გამოკლების გარეშე, რომელიც შეიძლება გაწეული იქნას გაყიდვისას ან სხვა სახის განკარგვისას, გარდა:

- სესხებისა და მოთხოვნებისა რომელიც შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტიანი საპროცენტო მეთოდის გამოყენებით;
- ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, რომელიც შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტიანი საპროცენტო მეთოდის გამოყენებით; ან
- ინვესტიციები ან კაპიტალის ინსტრუმენტები, რომელთაც არ გააჩნიათ კოტირებული საბაზრო ფასი აქტიურ ბირჟაზე და რომლებიც შეფასებულიები არიან არა სამართლიანი ფასით, არამედ თვითღირებულებით.

ყველა ფინანსური ვალდებულება, გარდა იმათი რომელიც შეფასებულია სამართლიანი ფასით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით და ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვა, როდესაც ფინანსური აქტივის ტრანსფერი შეფასებული სამართლიანი ღირებულებით არ დაექვემდებარა ჩამოწერას, ფასდება ამორტიზირებული ხარჯით. ამორტიზირებული ღირებულება ითვლება ეფექტიანი საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. პრემიები და დისკონტები, თავდაპირველი ტრანზაქციების ხარჯების ჩავლით ჩადებულია შესაბამისი ინსტრუმენტის საბალანსო ღირებულებაში და ჩამოიწერება ინსტრუმენტის ეფექტიან საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით.

როდესაც შეფასება დაფუძნებული საკვლევი ბაზრის მონაცემებზე მიუთითებს აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების ზრდაზე, ან დანაკარგზე თავდაპირველ ღირებულებამდე, ზრდა ან შემცირება დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. როდესაც თავდაპირველი ზრდა ან შემცირება არ ეფუძნება საკვლევი ბაზრის მონაცემებს, ის გადავადდება და აისახება აქტივის ან ვალდებულების მომსახურების გამოყენების შემდგომ პერიოდში, როდესაც შესაძლებელი ახდება ფასებზე დაკვირვება, ან მისი ჩამოწერის პროცესში.

სამართლიანი ღირებულები გაზომვის პრინციპები

ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ეფუძნება მის კოტირებულ საბაზო ფასზე საბალანსო ანგარიშგების თარიღისათვის ყოველგვარი ტრანზაქციული ხარჯის გამოკლების გარეშე. თუ კოტირებული საბაზრო ფასი არ არის ხელმისაწვდომი, ინსტრუმენტის სამართლიანი ფასდება ფასწარმოქმნის მოდელების, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადების ტექნიკის გამოყენებით.

იქ, სადაც გამოიყენება დისკონტირებული ფულადი ნაკადების ტექნიკა, შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადები ეფუძნება ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასებებს და დისკონტის განაკვეთი არის ანალოგიური პირობების მქონე ინსტრუმენტისთვის საბაზრო განაკვეთი, საბალანსო ანგარიშგების პერიოდისთვის. იქ, სადაც გამოიყენება ფასწარმოქმნის მოდელები, შენატანები ეფუძნება ბაზართან დაკავშირებულ განზომილებებს საბალანსო ანგარიშგების თარიღისათვის.

არა სავაჭრო-კონვერტირებადი წარმოებულთა სამართლიანი ფასი ფასდება იმ თანხით, რომელსაც ბანკი ღებულობს, ან იხდის კონტრაქტის შეწყვეტისათვის საბალანსო ანგარიშგების თარიღისათვის, მიმდინარე საბაზრო პირობების და მხარეთა კრედიტუნარიანობის გათვალისწინებით.

შემდგომი განზომილების შემოსავლები და დანაკარგები

შემოსავალი ან დანაკარგი წარმოშობილი ფინანსური აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების ცვლილებით აისახება, როგორც:

- სამართლიანი ღირებულების მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით ფინანსური ინსტრუმენტის შემოსავალი ან დანაკარგი ასახული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში;
- გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივის შემოსავალი ან დანაკარგი, აისახება უშუალოდ კაპიტალში აქციონერულ კაპიტალში ცვლილების გავლით (გარდა გაუფასურებული დანაკარგებისა და უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან შემოსავლებისა და დანაკარგებისა), მანამ, სანამ აქტივი არ იქნება ჩამოწერილი, რომლის დროსაც დაგროვილი შემოსავალი, თუ დანაკარგი თავდაპირველად აისახება კაპიტალში და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სარგებელი დაკავშირებული გასაყიდად არსებულ აქტივებთან აისახება, როგორც პროცენტი, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში დათვლილი ეფექტიანი საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებულ ღირებულებამდე დაყვანილი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, შემოსავლები თუ დანაკარგები აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც ფინანსური აქტივი ან ვალდებულება იქნება ჩამოწერილი ან ჩამოფასებული ამორტიზაციის პროცესის მეშვეობით.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივების ჩამოწერა ხდება, თუ ამოწერა აქტივის მიერ ფულადი ნაკადების შემოტანის ვადა ან ბანკმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე მესამე პირებისათვის გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება და ბანკის მიერ გადაცემულ იქნა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი. ნებისმიერი უფლება ან ვალდებულება წარმოშობილი ან მიღებული ტრანსფერით აისახება ცალკე, როგორც აქტივი ან ვალდებულება. ფინანსური ვალდებულება არის ჩამოწერილი, როდესაც ის დაიფარება.

ბანკი ასევე ჩამოწერს გარკვეულ აქტივებს, როდესაც ისინი ჩამოწერება ბალანსიდან, როგორც როგორც უიმედო აქტივები.

გამოსყიდვადი და რევერსული გამოსყიდვადი შეთანხმებები

ფასიანი ქაღალდები გაყიდვისა და გამოსყიდის შეთანხმების (“რეპო”) საფუძველზე, აისახება საბალანსო უწყისში და მოიცავს მხარეთა “რეპო” ვალდებულებებს დაქვემდებარებულ გადახდებს. განსხვავებას გაყიდვასა და გამოსყიდვას შორის წარმოადგენს საპროცენტო დანახარჯი და აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში “რეპო” შეთანხმების ვადის შემდგომ ეფექტიანი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფასიანი ქაღალდები შესყიდული რევერსული გამოსყიდვადი შეთანხმებებით (“რევერს რეპო”) აისახება, როგორც “რევერს რეპო” ტრანზაქციიდან მიღებული შემოსავლები. განსხვავებას შესყიდვასა და რევერსულ გამოსყიდვას შორის წარმოადგენს წარმოადგენს საპროცენტო შემოსავალს და აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში “რევერს რეპო” შეთანხმების ვადის შემდგომ ეფექტიანი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

თუ აქტივები, შექმნილი შემდგომში რევერსული გამოსყიდვის შეთანხმების საფუძველზე გაიყიდა მესამე პირზე, ფასიანი ქაღალდის დაბრუნების ვალდებულება აისახება, როგორც სავაჭრო ვალდებულება და გაიზომება სამართლიანი ფასით.

გაქვითვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა და მათი წმინდა თანხით საბალანსო ანგარიშგებაში აღრიცხვა ხდება მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი თანხების გაქვითვის იურიდიული უფლება და მათი წმინდა სახით დაფარვის განზრახვა, ან განზრახვა მოხდეს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულებების მყისიერი დაფარვა.

ქონება და აღჭურვილობა

საკუთარი აქტივები

ქონება და აღჭურვილობა აისახება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურება, გარდა შენობებისა, რომლებიც შეასებულია სამართლიანი ღირებულებით, რომელსაც აკლდება გადაფასების შემდგომი ცვეთისა და გაუფასურების დანარიცხი, როგორც აღწერილია ქვემოთ.

როდესაც ქონებას ან აღჭურვილობას გააჩნია სხვადასხვა საექსპლუატაციო პერიოდი, ისინი აღირიცხება განცალკევებულ პუნქტებად.

დაქირავებული (ლიზინგური) აქტივები

საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და პრემიები, რომელსაც ბანკი იღებს საკუთარ თავზე გამომდინარე გაფორმებული სალიზინგო შეთანხმებიდან, კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ლიზინგი. აღჭურვილობა შექმნილი ფინანსური ლიზინგის მეშვეობით აღირიცხება სამართლიან ფასზე უფრო დაბალი ფასითა და მინიმალური სალიზინგო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, სალიზინგო შეთანხმების დასაწყისში, გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურება.

გადაფასება

ბანკის შენობები ექვემდებარებიან რეგულარულ გადაფასებას. გადაფასების სიხშირე დამოკიდებულია მსგავსი შენობების ღირებულების გადაფასების ცვლილებების სიხშირეზე. ერთეულ მიწაზე ან შენობაზე გადაფასების ზრდა უშუალოდ აისახება კაპიტალში, იმ დონემდე, როდესაც ის სრულად ცვლის წინა გადაფასების შემცირებას ასახულს შემოსავლის უწყისში, იმ შემთხვევაში, როდესაც ის ასახულია შემოსავლის უწყისში. გადაფასების შემცირება ერთეულ მიწაზე ან შენობებზე უშუალოდ აისახება კაპიტალში, იმ დონემდე, როდესაც ის სრულად ცვლის წინა გადაფასების ზრდას ასახულს კაპიტალში, იმ შემთხვევაში, როდესაც ის ასახულია კაპიტალში.

გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაში, როდესაც აქტივი არის ამოღებული ან გასხვისებული.

ცვეთა

ცვეთა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი დარიცხვის მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის მიხედვით. აქტივებს ცვეთა ერიცხებათ იმ თარიღიდან, როდესაც ხდება მათი ექსპლუატაციაში გაშვება. ძირითადი საშუალებების შეფასებული მომსახურების ხანგრძლივობა შემდეგია:

შენობები	50 წელი
კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე მოწყობილობები	5 წელი
ავეჯი და მოწყობილობები	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
იჯარით აღებული გაუმჯობესებული საკუთრება	2-3 წელი
სხვა	10 წელი

არამატერიალური აქტივები

ბანკის მიერ შექმნილი არამატერიალური აქტივები, აღირიცხება თვითღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზია კაპიტალიზირდება გაწეული დანახარჯის საფუძველზე და შემოსავლის მომტანი ბიზნეს ერთეულის დონეზე.

ამორტიზაცია ერიცხება წრფივი დარიცხვის მეთოდით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, სასარგებლო მომსახურების განსაზღვრული ვადის მიხედვით. შეფასებული სასარგებლო ღირებულება არამატერიალური აქტივების არის 10 წელი.

დანაკარგები

ამორტიზირებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები

ამორტიზირებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები მოიცავენ ძირითადად სესხებს, სხვა შემოსულობებს ან არაკოტირებულ, გასაყიდად არსებულ სასესხო ვალდებულებებს (“სესხები და ოთხონები”). ბანკი გადახედავს საკუთარ შემოსულობებსა და სესხებს, რათა შეაფასოს დანაკარგი. სესხი ან სხვა ფინანსური აქტივი ექვემდებარება ჩამოწერას მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური საფუძველი, მას შემდეგ რაც მოხდება სესხის ან შემოსულობის პირველადი აღიარება და შემთხვევა (ან შემთხვევები) მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს სესხის სავარაუდო მომავალ ფულად ნაკადებზე, რომლებიც საფუძვლიანად უნდა იქნას შეფასებული.

ფინანსური აქტივის ჩამოწერის ობიექტური გარემოება შეიძლება გულისხმობდეს არგადახდას ან გადახდის დაგვიანებას მსესხებლის მხრიდან, სასესხო შეთანხმებისა და პირობების დარღვევას, სესხის რესტრუქტურისა ან ბანკის მიერ ისეთ პირობებზე დათანხმებას, რომელსაც ბანკი სხვა შემთხვევაში არც კი განიხილავდა, რომ არ იცოდეს მსესხებლის ან აქციათა გამომშვების გაკოტრების ნიშნების, აქტიური ფასიანი ქაღალდების ბაზრის გაქრობის, უზრუნველყოფის ღირებულების შემცირების ან სხვა შესამჩნევი მონაცემების შესახებ, დაკავშირებულს აქტივების ჯგუფთან, ისეთი როგორცაა ჯგუფში მსესხებლის სტატუსის არასახარბიელო ცვლილება, ან ეკონომიკური პირობების, რომელიც უკავშირდება არგადახდებს ჯგუფში.

თავდაპირველად ბანკი აფასებს არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი მნიშვნელოვანი გავლენის მქონე აქტივებისათვის ინდივიდუალურად ან კოლექტიურად. თუ დადგინდა, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური საფუძველი, იმისდა მიუხედავად, არის თუ არა აღნიშნული აქტივი მნიშვნელოვანი გავლენის მქონე, აქტივის ჩართვა ხდება ანალოგიური რისკების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფში. აღნიშნული ფინანსური აქტივების ჯგუფში შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება ერთობლივად. აქტივები, რომელთა მიმართებაში შეფასება ხდება ინდივიდუალურად და რომელთათვისაც ხდება ზარალის აღიარება, არ არის ჩართული აქტივების კოლექტიური შეფასების პროცესში.

თუ მოსალოდნელია ამორტიზირებული ღირებულებით ასახული აქტივების გაუფასურებით გამოწვეული ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის, გარანტიისა და ქონებრივი უზრუნველყოფის თანხების და აგრეთვე დისკონტირებული ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით. საკონტრაქტო ფულადი ნაკადები და დანაკარგების ისტორიული გამოცდილება კორექტირდება იმ მონაცემების საფუძველზე, რომლებიც ასახავს ფულადი ნაკადების შეფასების მიზნით მიმდინარე ეკონომიკურ მდგომარეობას.

ზოგიერთ შემთხვევაში, საკვლევი მონაცემები, რომლებიც მოითხოვენ სესხე ან სხვა აქტივზე დანაკარგის შეფასებას შეიძლება იყოს შეზღუდული ან სრულად არ შეესაბამებოდეს მიმდინარე მდგომარეობას. ეს შეიძლება იყოს შემთხვევა, როდესაც მსესხებელი განიცდის ფინანსურ სირთულეებს და არსებობს ამგვარი მსესხებლების შესახებ ისტორიული მონაცემები. ამგვარ შემთხვევაში, ბანკი იყენებს გამოცდილებას მათ შესახებ და ამაზე დაყრდნობით განსაზღვრავს დანაკარგის ოდენობას.

ყველა გაუფასურების დანაკარგი დაკავშირებული სესხებთან და სხვა აქტივებთან აისახება მოგება-ზარალის ანგრიშგებაში. თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღიარების შემდგომ მოვლენას, ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის შებრუნება.

როდესაც სესხი ჩაითვლება უიმედოდ, ხდება მისი ჩამოწერა სესხის გაუფასურების შესაბამისი რეზერვიდან. ამგვარი სესხების ჩამოწერა ხდება მას შემდეგ, რაც დასრულდება ყველა სავალდებულო პროცედურა და განისაზღვრება ზარალის თანხა.

თვითღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები

თვითღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები მოიცავს არაკოტირებულ კაპიტალის ინსტრუმენტებს, ჩართულს გასაყიდად არსებულ აქტივებში, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ფასით, რადგანაც მათი სამართლიანი ფასი ვერ იქნება საფუძვლიანად დათვლილი. თუ არსებობს ობიექტური გარემოება იმისა, რომ ამგვარი ინვესტიციები გაუფასურდება, გაუფასურების დანაკარგი დაითვლება ინვესტიციის საბალანსო ღირებულებასა და ამგვარი ფინანსური აქტივისათვის დღევანდელი ღირებულებით წინასწარი სამომავლო ფულად მიმდინარე ბაზრის უკუგების განაკვეთით დისკონტირებულ ნაკადებს შორის სხვაობით.

ინვესტიციებთან დაკავშირებული ყველა გაუფასურებული დანაკარგი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

არაფინანსური აქტივები

სხვა არაფინანსური აქტივები, გარდა გადავადებული გადასახადებისა ფასდება თითოეული ანგარიშგების თარიღისათვის ნებისმიერი გაუფასურების ნიშნისას. არაფინანსური აქტივების აღდგენითი თანხა არის მის სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯები და გამოყენების ღირებულება. გამოყენების ღირებულების შეფასებისას წინასწარი სამომავლო ფულადი ნაკადები დისკონტირებულია მათ დღევანდელ ღირებულებამდე წინასწარი დაბეგვრის განაკვეთის გამოყენებით, რომელიც გავლენას ახდენს მიმდინარე ბაზრის ფულის დროითი ღირებულებების შეფასებაზე და აქტივისთვის განსაზღვრულ რისკებზე. აქტივი, რომელიც არ აწარმოებს ფულადი ნაკადების შემოსვლას მნიშვნელოვანი ხარისხით დამოუკიდებელია იმ სხვა აქტივებისაგან, რომელთა აღდგენითი თანხა განსაზღვრულია ფულადი ნაკადების წარმოებადი ერთეულისთვის, რომელსაც განეკუთვნება აქტივი. გაუფასურებული დანაკარგი აისახება, როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულება ან მისი ფულადი ნაკადის წარმოებადი ერთეული გადააჭარბებს აღდგენით ღირებულებას.

ყველა არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული გაუფასურებული დანაკარგი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში და რევერსირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ცვლილება გამოყენებულ შეფასებაში აღდგენითი თანხის განსაზღვრისას. ნებისმიერი რევერსირებული გაუფასურებული დანაკარგი რევერსირდება მხოლოდ მაშინ, როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულება არ აჭარბებს განსაზღვრულ საბალანსო ღირებულებას, წმინდა ცვეთასა და ამორტიზაციას, თუ არ იქნა აღიარებული დაუფარავი დანაკარგი.

სავალუტო კურსთან დაკავშირებული კონტრაქტები

ნორმალურ ბიზნეს საქმიანობაში, ბანკი იღებს სავალუტო კურსთან დაკავშირებულ ვალდებულებებს; აუთვისებელ სასესხო ვალდებულებებს, აკრედიტივებსა და გარანტიებს, უზრუნველყოფის საკრედიტო დაზღვევის სხვა ფორმებს.

ფინანსური გარანტიები ეს არის კონტრაქტები, რომლის საფუძველზეც ბანკს მოეთხოვება განახორციელოს სპეციფიკური გადახდები, რათა აუნაზღაუროს გარანტიის მფლობელს შესაძლო ზარალი, რადგანაც გარკვეულ მოვალეს არ შეუძლია განახორციელოს გადახდა სასესხო ინსტრუმენტის ვადების შესაბამისად.

ფინანსური გარანტიის ვალდებულება თავდაპირველად აისახება საოპერაციო დანახარჯებთან დაკავშირებული წმინდა სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში იზომება უფრო მაღალი თანხებით ვიდრე თავდაპირველად აღიარებული ნაკლები დაგროვებადი ამორტიზაციით, ან დანაკარგებზე გაცემული გარანტიის თანხით. დანაკარგებზე გაცემული ფინანსური გარანტიებისა და სხვა კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებების უზრუნველყოფის აღიარება ხდება, როდესაც დანაკარგები ჩაითვლება შესაძლოდ და იქნება საიმედოდ დათვლილი.

ფინანსური სავალდებულო გარანტიებზე და მსგავს ვალდებულებებთან შექმნილი რეზერვები აისახება სხვა ვალდებულებების მუხლში.

სააქციო კაპიტალი

დივიდენდები

ბანკის მიერ დივიდენდების გაცხადება და გაცემა ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობასა და ნორმატიულ აქტებს.

ჩვეულებრივ აქციებთან დაკავშირებული დივიდენდები აისახება, როგორც ასიგნება გაუნაწილებელი მოგებისა იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გაცხადება.

დაბეგვრა

მოგების გადასახადი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. მოგების გადასახადი აისახება მოგება-ზარალის უწყისში, თუ ის არ უკავშირდება უშუალოდ კაპიტალში ასახულ პუნქტებს, ამ შემთხვევაში ის აისახება კაპიტალში.

მიმდინარე საგადასახადო ხარჯი ეს არის წლის განმავლობაში დასაბეგრ მოგებაზე მოსალოდნელი გადასახადი, დადგენილი განაკვეთით ან ბალანსის შედგენის დღისათვის არსებითად დადგენილი განაკვეთით, და ნებისმიერი რეგულირებით გადახდას დაქვემდებარებული გადასახადი.

გადავადებული გადასახადი გამოყენება ხდება საბალანსო ვალდებულების გამოანგარიშების მეთოდით, ის წარმოადგენილია აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო საგადასახადო დასაბეგრ ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის არსებულ დროებით სხვაობებზე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადავადებული მოგების გადასახადი წარმოიშობა აქტივებისა ან ვალდებულებების საწყისი აღიარებიდან და ოპერაციის თარიღისათვის გაელენას არ იქონიებს სააღრიცხვო მოგებასა თუ საბეგრ მოგება-ზარალზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღირიცხება იმ პირობით, თუ არსებობს ალბათობა დასაბეგრი მოგებისა, რომლითაც შესაძლებელი იქნება დროებითი გამოქვითვადი სხვაობების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები აღირიცხება საგადასახადო განაკვეთებით, რომელთა გამოყენებაც მოსალოდნელია აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულების დაფარვის პერიოდში იმ განაკვეთებზე დაყრდნობით, რომლებიც დადგინდა ბალანსის შედგენის დღეს.

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

კლიენტებზე გაცემული სესხების საკომისო გადავადებულია შესაბამის პირდაპირ ხარჯებთან ერთად და აღიარებულია როგორც სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირება. გასამრჯელო, საკომისიო და სხვა შემოსავალი თუ ხარჯი, როგორც წესი აღრიცხულია დარიცხვის მეთოდით მომსახურების გაწევის შემდგომ.

ცვლილებები საბუღალტრო პოლიტიკაში

2007 წლის 1 იანვრისთვის ბანკმა მიიღო “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების” ფასს 7: “ფინანსური ინსტრუმენტები: “ახსნა-განმარტებები” და ცვლილებები “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების” ბასს 1: “ცვლილებები: “ფინანსური ანგარიშგების წარდგენა” – “კაპიტალის ახსნა-განმარტებები”. სტანდარტისა და ცვლილების გამოყენება საშუალებას მისცემს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს შეაფასონ ბანკის ფინანსური ინსტრუმენტების არსებითობის ხარისხი, მათი შინაარსი, დაკავშირებული რისკების ზომა, ბანკის მიზნები, პოლიტიკები და პროცესები მიმართული კაპიტალის მართვისაკენ.

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ძალაში ჯერ არ შესულა

რიგი ახალი სტანდარტების, სტანდარტების ცვლილებების და ინტერპრეტაციებისა არ არის მიღებული 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და შესაბამისად არ იქნა გამოყენებული ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. ამ განაცხადებიდან პოტენციურად შემდეგი მოახდენს ზეგავლენას ბანკის ოპერაციებზე. ბანკი აპირებს ამ განაცხადი მიღებას, როდესაც ის შევა ძალაში. ბანკს ჯერ არ აქვს გაანალიზებული სავარაუდო ზეგავლენა ამ ახალი სტანდარტისა მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი ფასს 1 „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ (შეცვლილი), რომელიც მიღებული იქნება 2009 წლის 1 იანვრისთვის ან მის მერე, განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა წარმოადგინოს იურიდიულმა პირმა ცვლილებები კაპიტალში, არა გამომდინარე მფლობელთა ტრანზაქციებიდან და სხვა ცვლილებებიდან კაპიტალში, აგრეთვე, სტანდარტი წარადგენს გარკვეულ სხვა მოთხოვნებს ფინანსურ ანგარიშგებებში ინფორმაციის წარდგენასთან დაკავშირებით.

4 წმინდა საპროცენტო შემოსავალი

	2007 ათასი ლარი	2006 ათასი ლარი
საპროცენტო შემოსავალი		
კლიენტებზე გაცემული სესხები	10,004	6,394
ბანკებისა და სხვა საფინანსო ორგანიზაციებისთვის გაცემული სესხები	347	198
სხვა საპროცენტო შემოსავალი	38	9
	10,389	6,601
საპროცენტო ხარჯები		
კლიენტების არსებული ანგარიშები და დეპოზიტები	3,659	1,834
დეპოზიტები და ნაშთები ბანკებისა და სხვა საფინანსო ორგანიზაციებისგან	228	219
	3,887	2,053

5 საკომისიო და სხვა შემოსავლები გაწეული მომსახურების მიხედვით

	2007 ათასი ლარი	2006 ათასი ლარი
პლასტიკური ბარათის დამზადებისთვის	915	170
საგარანტიო წერილისა და კრედიტის გაცემაზე	626	450
საბანკო გადარიცხვების შესრულებაზე	557	270
ანგარიშის მომსახურებასა და სალაროს ოპერაციებზე	512	932
სხვა	500	856
	3,110	2,678

6 საკომისიო და სხვა ხარჯები მიღებული მომსახურების მიხედვით

	2007 ათასი ლარი	2006 ათასი ლარი
პლასტიკური ბარათი	405	75
საბანკო გადარიცხვების შესრულებაზე	147	361
სხვა	158	239
	710	675

7 მოგება ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან

	2007 ათასი ლარი	2006 ათასი ლარი
მოგება ნაღდი ფულით გარიგებებზე	1,667	1,468
ფინანსური აქტივებისა და პასივების რევალვაციით გამოწვეული ზარალი	(35)	(344)
	1,632	1,124

8 სხვა შემოსავალი

	2007 ათასი ლარი	2006 ათასი ლარი
ჯარიმები	356	222
ვალის გადაუსდელობის გამო ამოღებული აქტივების გაყიდვით მიღებული მოგება	275	-
სხვა	58	7
	689	229

9 ზარალი აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით

	2007 ათასი ლარი	2006 ათასი ლარი
კლიენტებზე გაცემული სესხები	65	(1,163)
სხვა აქტივები	62	(91)
	127	(1,254)

10 ადმინისტრაციული ხარჯები

	2007 ათასი ლარი	2006 ათასი ლარი
თანამშრომლებზე გაცემული კომპენსაციები	2,166	1,469
ხელფასებთან დაკავშირებული გადასახადები	817	542
ცვეთა და ამორტიზაცია	786	527
რეკლამა და მარკეტინგი	499	148
იჯარა	491	104
უსაფრთხოება	415	269
კომუნიკაციები და საინფორმაციო მომსახურება	303	173
შეკეთება და მოვლა-მომსახურება	207	218
პროფესიონალური მომსახურება	199	86
საოფისე მასალები	110	129
მგზავრობა და ტრენინგი	81	12
გადასახადები, საშემოსავლოს გარდა	63	62
სხვა	491	55
	6,628	3,794

11 საშემოსავლო გადასახადის ხარჯები

	2007 ათასი ლარი	2006 ათასი ლარი
მიმდინარე ხარჯები გადასახადებზე		
მიმდინარე წელი	764	596
წინა წლებში გაწეული	34	-
	798	596
გადავადებული საგადასახადო ხარჯები		
მიმდინარე სხვაობის წარმოშობა და გაუქმება	170	61
საგადასახადო ტარიფების ცვლილება	(85)	-
	85	61
სულ საშემოსავლო გადასახადების ხარჯები მოგება-ზარალის უწყისში	883	657

ბანკში მოქმედი საშემოსავლო გადასახადების ტარიფები ამჟამად შეადგენს 20% (2006: 20%). 2008 წ. 1 იანვრიდან ბანკის საშემოსავლო გადასახადების განაკვეთი შეიცვალა და გახდა 15%.

მოქმედი საგადასახადო განაკვეთის შესაბამისობაში მოყვანა:

	2007		2006	
	ათასი ლარი	%	ათასი ლარი	%
შემოსავალი დაბეგვრამდე	<u>4,647</u>		<u>2,792</u>	
საშემოსავლო გადასახადი მოქმედი საგადასახადო ტარიფებით	929	20%	558	20%
საგადასახადო ტარიფების ცვლილება	(85)	(2%)	-	0%
წინა წლებში გაწეული	34	1%	-	0%
გამოუქვითავი ხარჯები	5	0%	99	4%
	883	19%	657	24%

12 საქართველოს ეროვნული ბანკისგან მისაღები

	2007 ათასი ლარი	2006 ათასი ლარი
ნოსტრო ანგარიშები	12,719	812
მინიმალური სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტი	4,541	5,533
	17,260	6,345

მინიმალური სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტის გამოტანა აკრძალულია

13 თანხები სხვა ბანკებსა და საფინანსო დაწესებულებებში

	2007 ათასი ლარი	2006 ათასი ლარი
<i>შეუმცირებელი ან გადაგადაცილებული</i>		
ნოსტრო ანგარიშები		
OECD ბანკები	1,318	4,444
სხვა უცხოური ბანკები	146	-
10 უმსხვილესი ქართული ბანკი	1,748	594
ნოსტრო ანგარიშები სულ	3,212	5,038
დებოზიტები და სხვა ავანსები ბანკებში		
OECD ბანკები	611	310
სხვა უცხოური ბანკები	-	323
10 უმსხვილესი ქართული ბანკი	2,095	3,519
დებოზიტები და სხვა ავანსები ბანკებში სულ	2,706	4,152
	5,918	9,190

გირაო

2007 წ. და 2006 წ. 31 დეკემბრის მონაცემებით, ბანკებისთვის გაცემული არცერთი სესხი არ არის გირაოთი უზრუნველყოფილი.

ბანკებსა და სხვა საფინანსო ორგანიზაციებზე გაცემული სესხების კონცენტრაცია

2007 წ. და 2006 წ. 31 დეკემბრის მონაცემებით, ბანკს ჰყავდა შესაბამისად 3 და 3 ბანკი, რომელთა ნაშთები აღემატებოდა სესხის მთლიანი თანხის 10%. ამ ნაშთების საერთო თანხა 2007 წ. და 2006 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა შესაბამისად 4,997 და 7,335 ლარს.

14 კლიენტებზე გაცემული სესხები

	2007 ათასი ლარი	2006 ათასი ლარი
კორპორატიული სესხები	34,674	30,787
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები		
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	12,475	10,690
საკრედიტო ბარათები	5,999	2,935
ავტო-კრედიტები	855	122
სხვა სამომხმარებლო სესხები	10,252	4,470
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები სულ	29,581	18,217
კლიენტებზე გაცემული სესხები სულ	64,255	49,004
სესხების დანაკარგების რეზერვი	(1,779)	(2,133)
წმინდა სესხები	62,476	46,871

სესხების დანაკარგების რეზერვის ცვლილება 2007 წ. 31 დეკემბრისთვის შეადგენდა:

	2007 ათასი ლარი	2006 ათასი ლარი
წლის დასაწყისში არსებული ნაშთი	2,133	1,012
წმინდა გადასახადი/(ანაზღაურება) აღნიშნულ წელს (შენიშვნა 9)	(65)	1,163
ჩამოწერილი თანხები - წმინდა	(289)	(42)
ნაშთი წლის ბოლოს	1,779	2,133

კორპორატიული სასესხო პორტფელის კრედიტის ხარისხი

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია კორპორატიული სასესხო პორტფელის კრედიტის ხარისხის შესახებ 2007 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	სულ სესხები ათასი ლარი	დანაკარგი ათასი ლარი	ნეტო სესხები ათასი ლარი	დანაკარგი სესხების მთლიანი თანხიდან %
სესხები, რომლებზეც არ დადგენილ იქნა დანაკარგები:				
- ვადაგადაუცილებელი	34,426	632	33,794	1.8%
ზარალიანი ვალები:				
- 90 დღეზე მეტად ვადაგადაცილებული	58	1	57	1.8%
- 1 წ-ზე მეტად ვადაგადაცილებული	190	4	186	1.8%
სულ კორპორატიული სესხები	34,674	637	34,037	1.8%

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია კორპორატიული სასესხო პორტფელის კრედიტის ხარისხის შესახებ 2006 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	სულ	დანაკარგი	ნეტო	დანაკარგი
	სესხები		სესხები	სესხების
	ათასი	ათასი	ათასი	მთლიანი
	ლარი	ლარი	ლარი	თანხიდან
				%
სესხები, რომლებზეც არ დადგენილ იქნა დანაკარგები:				
- ვადაგადაუცილებელი	29,411	705	28,706	2.4%
ზარალიანი ვალები:				
- 90 დღეზე მეტად ვადაგადაცილებული	1,024	25	999	2.4%
- 90 დღეზე მეტად, მაგრამ 1 წ-ზე ნაკლებად ვადაგადაცილებული	122	3	119	2.4%
- 1 წ-ზე მეტად ვადაგადაცილებული	230	6	224	2.4%
სულ კორპორატიული სესხები	30,787	739	30,048	2.4%

კორპორატიული სესხებისთვის დანაკარგების რეზერვის დადგენისას ბანკმა განიხილა მიმდინარე პორტფელი და არ დაუდგენია სესხები, რომლებზეც საჭირო იქნებოდა ინდივიდუალური რეზერვი დანაკარგებისთვის.

ბანკმა კოლექტიურად შეაფასა კორპორატიული სესხები დანაკარგების რეზერვის თვალსაზრისით და ამ სესხებზე შექმნა 1.8% რეზერვი, ბანკის ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით.

ამ გაანგარიშებების ცვლილებამ შესაძლოა იმოქმედოს სესხის დანაკარგის რეზერვზე. მაგ. სავარაუდო ფულადი ნაკადის არსებული არსებული ღირებულების ერთი პროცენტით სხვაობის შემთხვევაში სესხის დანაკარგის რეზერვი კორპორატიული სესხებისთვის 2007 2. 31 დეკემბრის მდგომარეობით 340 ლარით ნაკლები/ მეტი იქნებოდა.

2007წ. და 2006წ. 31 დეკემბრისთვის ბანკს არ უწარმოებია ხელახალი მოლაპარაკებები კორპორატიულ სესხებზე, რომლებიც სხვაგვარად ვადაგადაცილებული ან ზარალიანი იქნებოდა.

დანაკარგების რეზერვის მოძრაობის ანალიზი

სესხების დანაკარგების რეზერვის რესურსების მოძრაობა 2007 წ. და 2006 წ. 31 დეკემბრისთვის შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

	2007	2006
	ათასი ლარი	ათასი ლარი
სესხების დანაკარგების რეზერვი 1 იანვრისთვის	739	645
წლის განმავლობაში ჩამოწერილი უიმედო სესხები	(145)	-
სესხების დანაკარგები წლის განმავლობაში	43	94
სესხების დანაკარგების რეზერვი 31 დეკემბრისთვის	637	739

უზრუნველყოფის ანალიზი

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია კორპორატიული სასესხო პორტფელის ანალიზი, ნეტო-დანაკარგისგან, უზრუნველყოფის ტიპების მიხედვით, 2007 წ. და 2006 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2007	სასესხო პორტფელის %	2006	სასესხო პორტფელის %
უძრავი ქონება	24,402	72%	12,582	42%
მესამე მხარის გარანტიები	5,056	15%	3,875	13%
ტექნიკა და სატრანსპორტო საშუალებები	2,534	7%	4,422	15%
ინვენტარი	877	3%	278	1%
ნაღდი ფული	44	0%	8,597	29%
ფასიანი ქაღალდები	-	-	105	0%
უზრუნველყოფის გარეშე	1,124	3%	189	-
ს უ ლ	34,037	100%	30,048	100%

